დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს მარნეულის კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ბეგლარაშვილი

წევრები:

ქეთევან ღვანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: მარნეულის კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 234158498

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 19 ივლისის N816306 ბრძანების საფუძველზე (ცვლილება #833242 , 22.07.2022) „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს მარნეულის კოლეჯში (მისამართი: ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 29 ივლისს.

შპს მარნეულის კოლეჯმა გააკეთა განაცხადი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 32. დაწესებულებამ გამოთქვა სურვილი დამატებით კიდევ 30 სტუდენტის მიღების უფლების მოპოვების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნა განაპირობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაფიქსირებული პროგრამის მოთხოვნის მაღალმა მაჩვენებელმა. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის ხსენებული საფუძველი ვიზიტისას დეტალურად იქნა ახსნილი ექსპერტთა ჯგუფისათვის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ. კოლეჯის აკადემიურმა დირექტორმა, ქალბატონმა ნინო გომელაურმა განმარტა, რომ სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის დაწყების პარალელურად გაიზარდა მოთხოვნა საბავშვო ბაღების მხრიდან კვალიფიციურად მომზადებულ აღმზრდელებზე. ამის შესახებ ინფორმაცია დაწესებულებამ მიიღო საბავშვო ბაღის ხელმძღვანელებთან ზეპირი კომუნიკაციით. უშუალოდ მტკიცებულების სახით კი, იმის დასტურად, რომ აღნიშნულ პროგამაზე მაღალი მოთხოვნაა, დაწესებულებამ წარმოადგინა **განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ამონაწერი.** აღნიშნული დოკუმენტით **ნამდვილად დადასტურდა,** რომ დაწესებულების მიერ „აღმზრდელის“ საგანამანათლებლო პროგრამაზე მისაღებად გამოცხადებულ 4 ადგილზე ავტორიზაციის ჯგუფის ვიზიტის მომენტში უკვე რეგისტრირებული იყო 38 აპლიკანტი.

დაწესებულებაში ვიზიტი წარიმართა თანდართული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების მატერიალური რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

წარმოების ფარგლებში საუკეთესო გამოცდილება/მაგალითი(ებ)ი არ დაფიქსირებულა.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

–

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

- სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის თანახელმძღვანელის დამატება, რომელსაც ექნება დარგობრივი პრაქტიკული გამოცდილება/დარგობრივი განათლება, რათა ამჟამინდელ ხელმძღვანელთან ერთად განავითაროს პროგრამა.
- სასურველია, ყველა ის საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მითითებულია პროგრამის დანართში „მოდულებში გამოყენებული ლიტერატურის რეესტრი“ და კოლეჯი აქტიურად იყენებს სასწავლო პროცესში, სრულად გაიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	**შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 16 თებერვლის N10 ბრძანება** პროგრამაში შევიდა ცვლილება ✓ შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის: 2018 წლის 2 ოქტომბრის N 68 ბრძანებით ✓ შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის: 2019 წლის 21 ოქტომბრის N54 ბრძანებით ✓ შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის: 2019 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	24 დეკემბრის N75 ბრძანებით ✓ შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის: 2020 წლის 25 მაისის N19 ბრძანებით ✓ შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის: 2020 წლის 4 სექტემბრის N47 ბრძანებით ✓ შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის: 2020 წლის 21 სექტემბრის N51 ბრძანებით ✓ შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის: 2020 წლის 9 დეკემბრის N3525 ბრძანებით ✓ შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის: 2022 წლის 29 ივნისის N4925 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა # 80
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	62
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება	შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოების ფარგლებში ადგილზე ვიზიტისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამა „აღმზრდელის“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:

- A გარემოსთვის ორი აუდიტორია, რომლებიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 32 და 16 სტუდენტისთვის. კერძოდ, დაწესებულებას მფლობელობაში აქვს აღნიშნული რაოდენობების შესაბამისი ინდივიდუალური მაგიდა და სკამი (ჯამში 48 სტუდენტისთვის), 2 კომპიუტერი, 2 დაფა, 2 პროექტორი და ორი მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი).
- B გარემოსთვის ორი აუდიტორია, რომლებიც აღჭურვილია საჭირო რესურსით - გამართულია 16-16 კომპიუტერი სტუდენტებისთვის და თითო-თითო მასწავლებლისთვის. აღნიშნულ აუდიტორიებში მეცადინეობის დროს სტუნდეტები იყოფიან ორ ჯგუფად, ამიტომ მისი გამოყენება შესაძლებელია მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის სტუდენტთათვისაც.

იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული A და B ტიპის გარემო საკმარისი იქნება სტუდენტთა ზღვრული რაიოდენობის 30-ით გაზრდის შემთხვევაში, კოლეჯმა წარმოადგინა აუდიტორიების საათობრივი დატვირთვა ყველა პროგრამის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული ჯგუფების მიხედვით, დამატებით მოთხოვნილი სტუდენტთა ჯგუფის გათვალისწინებით. განაწილებიდან ჩანს, რომ აუდიტორიათა ნაწილი კვირის განმავლობაში მხოლოდ ნახევარი დატვირთვით/არასრული დატვირთვით მუშაობს და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაშიც კი რჩება თავისუფალი სივრცეები. აღნიშნულს ხელს უწყობს ის ფაქტორიც, რომ დაწესებულება იყენებს ჰიბრიდული სწავლების ფორმას თითქმის ყველა პროგრამაში და ზოგიერთ მოდულს სტუდენტები სწავლობენ დისტანციურ ფორმატში.

საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან (ხელშ. N88; 01.06.2022წ.). აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, ერთდროულად მიიღოს კოლეჯის 30 პროფესიული სტუდენტი და გადაანაწილოს ისინი მის დაქვემდებარებაში მყოფ სხვადასხვა ბაგა–ბაღში. ვინაიდან აღნიშნული სააგენტოს ფარგლებში შედის რაიონის ყველა ბაგა-ბაღი, შესაბამისად, პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის გათვალიწინებითაც.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ჰყავს 15 პროფესიული განათლების მასწავლებლი (თითო მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი). დაწესებულების მიერ, ექსპერტებისათვის მიწოდებული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების დატვირთვის დოკუმენტის თანხმად, არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს და ჩანს, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაშიც პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა ადეკვატური და საკმარისი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

3. დაწესებულებას პერსონალის მართვის წესით განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, ან პროფესიული განათლება, ან სულ მცირე ორწლიანი სამუშაო გამოცდილება, ან მასწავლებლად მუშაობის სულ მცირე ერთწლიანი გამოცდილება. დაწესებულებას ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გასაუბრება ჩატარდა პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან. დაწესებულების მიერ მოწოდებული პირადი საქმეების შესწავლითა და ჩატარებული ინტერვიუებით, დასტურდება, რომ პროფესიულ მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი მოდულების განხორციელების თეორიული და პრაქტიკული კომპეტენცია. შესწავლილი პირადი საქმეების შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელ ყველა პროფესიულ მასწავლებელს უფიქსირდება შესაბამისი მოდულის ცოდნის კვალიფიკაცია ან განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით ან სამუშაო გამოცდილებით, ასევე ზოგიერთ შემთხვევეაში დამატებით მიღებული სხვადასხვა სახის სერთიფიკატებითაც. მათ აქვთ სკოლამდელი აღზრდის პროგრამის სწავლების გამოცდილება.

აღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.

4. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები პერსონალის მართვის წესში - უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლება, ასევე, პროფესიულ მასწავლებლად მუშაობის სულ მცირე ერთწლიანი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად მოცემულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულებაშიც (გაფორმების თარიღი: 01.11.2021 წელი, #194). ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირის პირადი საქმე, რომლიდანაც ირკვევა, რომ მას უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით. მის პირად საქმეში ინახება ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები ინკლუზიურ განათლებასა და სწავლების ეფექტურ მეთოდებთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დაწყებითი კლასების სწავლების გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და 2019 წლის სექტემბრიდან პროგრამა „აღმზრდელის“ ზოგიერთი მოდულის განმახორციელებელია. ავტორიზაციის ჯგუფის დარგობრივი ექსპერტი გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს. ინტერვიუდან გაიკვა, რომ მას ნამდვილად აქვს დარგობრივი კომპეტენცია, პროფესიული განვითარების მაღალი მზაობა და მოტივაცია.

კოლეჯის აკადემიურ დირექტორთან ინტერვიუს დროს აღნიშნული პიროვნების პროგრამის ხელმძღვანელად შერჩევის საფუძვლად დასახელდა მისი კომპეტენცია - პროფესიული პასუხისმგებლობა და მოდულური სწავლების გამოცდილება პროგრამა „აღმზრდელის“ ფარგლებში. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ის მუდმივად მონაწილეობს პროფესიული განვითარების აქტივობებში, აქვს პროგრამის ხელმძღვანელობისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ორგანიზატორული უნარი, რომლის დახმარებითაც წარმატებით ზედამხედველობს პროგრამის განხორციელების პროცესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის მოადგილემ ხაზი გაუსვა, რომ ასეთი თანამშრომელი კოლეჯისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რადგან რეგიონული მდებარეობიდან გამომდინარე მსგავსი უნარების მქონე კადრის მოძიება რთულია.

პროგრამის ხელმძღვანელის აქტიური ჩართულობა გასაუბრებისას დაადასტურეს ასევე პროგრამის განმახორციელებლებმაც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ის რეგულარულად მართავს მათთან შეხვედრებს, ეხმარება მათ საორგანიზაციო თუ შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით, ერთობლივად მსჯელობენ პროგრამის დახვეწა-გამუმჯობესების გზებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა აზრით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს დარგობრივი კომპეტენცია განათლების დამდასტურებელი დოკუმენტით ან უშუალოდ საბავშვო ბაღში მუშაობის გამოცდილებით არ უდასტურდება, მასთან დარგობრივი ექსპერტის გასაუბრებით ნამდვილად ირკვევა, რომ აღნიშნულ პიროვნებას **აქვს ის შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია**, რომელიც სჭირდება პროგრამის ხელმძღვანელს, თუმცა იმისათვის, რომ მას ჰქონდეს მეტი შესაძლებლობა პროგრამის დარგობრივი მიმართულებით გაძლიერების პროცესში, **სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის თანახელმძღვანელის დამატება, რომელსაც ექნება დარგობრივი პრაქტიკული გამოცდილება/დარგობრივი განათლება, რათა ამჟამინდელ ხელმძღვანელთან ერთად განავითაროს პროგრამა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. კოლეჯში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით ან ელექტრონული ფორმით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერში და ასევე ბიბლიოთეკაში არსებობს დისკების სახითაც. კოლეჯის ელექტრონული წიგნების ნაწილი ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, რომელთა გამოყენებითაც პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ დისკებით ან ამობეჭდონ ელექტრონულად არსებული სასწავლო მასალა. განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ ელექტრონულ მასალას სტუდენტებს უგზავნიან ელფოსტითაც და უტვირთავენ სპეციალურად ინტერნეტ სივრცეში შექმნილი საკომუნიკაციო ჯგუფებშიც. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის დანართში „მოდულებში გამოყენებული ლიტერატურის რეესტრი“ დეტალურადაა ჩამოთვლილი ის რელევანტური ლიტერატურა, რომლებსაც განმახორციელებლები იყენებენ მოდულების სწავლებისას და ბიბლიოთეკის მასალების შესწავლითაც დასტურდება, რომ თითოეული მათგანი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, უშუალოდ კონკრეტულ მოდულებში ლიტერატურის ჩამონათვალი არ არის ასახული სრულად. შესაბამისად, **სასურველია,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყველა ის საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მითითებულია პროგრამის დანართში „მოდულებში გამოყენებული ლიტერატურის რეესტრი“ და კოლეჯი აქტიურად იყენებს სასწავლო პროცესში, სრულად გაიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებშიც.

6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურებს, კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების ან აკომოდირების მიზნით. ამასთან, პროგრამის თითოეულ მოდულს ახლავს რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. დაწესებულების სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის.

ეს ყოველივე დაწესებულებას აძლევს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, მისი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (16 სტუდენტი). პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, რომელსაც რენტაბელობის ზღვრის შესაბამისი შემოსავლები სრულად ფარავს. ყოველი ბიუჯეტური წლის ბოლოს ბუღლატრის მიერ ხდება ანგარიშგება პროგრამის განხორციელებისთვის გახარჯული რეალური ფინანსური ხარჯის საფუძველზე. პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვიზუალური დათვალიერებით;

მატერიალური რესურსის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაციით;

პარტნიორთან (ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან) გაფორმებული ხელშეკრულებით;

პერსონალის პირადი საქმეებით;

საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;

ზოგადმარეგულირებელ დოკუმენტთა კრებულით (ადამიანური რესურსების მართვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ბიუჯეტით;

საინვენტარო ბარათებით;

მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვით;

ინტერვიურებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

24.08.2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: